

არიანე ჭანტურია (1925-2014)



1951 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულთა შორის, რომელთაგან უმეტესობა ახალსკოლადამთავრებულნი იყვნენ, 17-18 წლის ყმაწვილები, ყურადღებას იპყრობდა ყველასგან გამორჩეული ჰაბიტუსის ახალგაზრდა, კანთეთრი, სახის დახვეწილი ნაკვთებით, ჩუმი, მშვიდი, აუღელვებელი, მის ასაკს ვერავინ იტყოდა, თუმცა ჩვენი ტოლი რომ არ იყო, იქიდან ჩანდა, რომ რაღაც დისტანცირებულად აკვირდებოდა ჩვენს ქცევას და მოთმინებით უსმენდა ჩვენს გაუთავებელ კამათებს, მის თვალში ალბათ სრულიად უსაფუძვლოს, ალბიონური ზრდილობა და ტაქტი არ აძლევდა უფლებას ისე განესაჯა ჩვენი ქცევანი, როგორც გულში ფიქრობდა, ახლა შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ის იმგვარადვე ფიქრობდა ჩვენზე, როგორც გრიგოლ რობაქიძემ გამოთქვა ერთხელ არჩილ ჯორჯაძისადმი მიწერილ წერილში: შენ იცი, ჩემო არჩილ, ქართველთა უდისციპლინო აზროვნების ამბავიო... არასდროს ჩარეულა ის ჩვენს დავიდარაბაში და ჩვენც არ მოვიტხოვდით, რომ ჩარეულიყო. მხოლოდ ერთადერთხელ, როცა ურთიერთსიახლოვემ ნება მისცა, გულახდილი ყოფილიყო, ლოგომახიად მონათლა ჩვენი კამათები – და განა ეს ზუსტი სიტყვა არ იყო? საიდან მოიტანა მან ეს იმჟამად ჩვენთვის გაუგებარი სიტყვა-ცნება? როგორც გაირკვა, ოდიშიდან და, უფრო ზუსტად, ქართულ-ინგლისური ოჯახიდან. თანდათან და ძალაუნებურად ის ავლენდა დაწყებითი კურსების სტუდენტისთვის უჩვეულო განათლებას ცოდნის ნებისმიერ დარგში. ეს იყო სწორედ ცოდნა და არა ინფორმაცია, დღეს ერთმანეთისგან რომ ვერ გაურჩევიათ. ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა (ერთხანს მიკვირდა, რატომ აირჩია ეს ენა, რომელიც ისედაც იცოდა, თანაც არა ინფორმაციულად, არამედ დედაენის სიღრმით) თუ იყო ის გასაღები, რომლის საშუალებითაც სწვდებოდა უნივერსალური ცოდნის საუნჯეს. დღევანდელ ნაფიც ექსპერტებსაც შეშურდებოდათ მისი

ჩახედულობა ბრიტანეთის თანამედროვე პოლიტიკაში, მის ისტორიაზე რომ არ ვილაპარაკოთ.

როცა ახლოს გავიცანით ერთმანეთი, აღმოჩნდა, რომ მას უნივერსიტეტამდე, რვა წლის ასაკში დედით დაობლებულს, განსწავლის წლები მამის ჩრდილქვეშ გაევლო. თუმცა მამის – აკაკი ჭანტურიას მოწოდება არ ყოფილა პედაგოგობა, რომ საგანგებოდ დაემოძღვრა შვილები, მაგრამ მის ინტერესებს და საქმეს მოჰქონდა სწორედ ის უნივერსალური ცოდნა, რომელსაც ყმაწვილი არიანე ფლობდა. მამა ჩვენს გაცნობამდე ორიოდ წლის წინ იყო გარდაცვლილი - ძალთა გაფურჩქვნის ასაკში. გეოლოგი, არქეოლოგი, მსოფლიო მოგზაური, სამუზეუმო საქმის პრაქტიკოსი და ენთუზიასტი, რომელმაც ზუგდიდის განთქმული მუზეუმის დაარსებამდე ჯერ საკუთარი სახლი სოფელ ჯვარში აქცია მუზეუმად, ინგლისური ენის მასწავლებელი ზუგდიდის ინსტიტუტში და დაბა-სოფლების სკოლებში, ბოლოს დევნილიც, უმადურობისა და გაუტანლობის, კულტურისადმი რევეკომული ნიჰილიზმის მსხვერპლი... აი, არიანე ორ უფროს ძმასთან – მარციანესთან და ვივიანესთან ერთად ადრეული სიყმაწვილიდანვე მხარში უდგა მამას უდედოდ დარჩენილი ჩვილი და-ძმის – ფლავიანესა და ლეილას აღზრდა-პატრონობაში. ეს იყო მიზეზი, რომ დაგვიანებით მოუხდა უნივერსიტეტში სწავლის დაწყება. მაგრამ ის გაცდენილი წლები მისთვის ამაოდ ჩავლილი არ ყოფილა: ცხოვრებისეული გამოცდილება მისი უპირატესობა იყო მათ წინაშე, ვინც უშუალოდ სკოლის მერხიდან და, მიუხედავად ომიანობის დუხჭირი წლებისა, უზრუნველი ბავშვობიდან იყვნენ მოსულნი. ის ნამსახურევი, ჯაფაგამოვლილი მოვიდა. მაგრამ ის წლები არ იყო მისთვის მხოლოდ სიდუხჭირის წლები, ეს იყო ასევე შემოქმედებითი ყოფნა მშობლის გვერდით, როგორც თანამდგომისა, რომლის თვალწინ ჩაიარა სასწაულებრივ დაარსებული ზუგდიდის მუზეუმის პერიპეტები, არიანე ცოცხლად ატარებდა ხსოვნაში მის ისტორიას. ფარული სიამაყით გვიამბობდა მამის ღვაწლზე. მხოლოდ მოგვიანებით მიეცა მას საშუალება, დღის სინათლეზე გამოეტანა მამის ნამუშავევი მეცნიერების სხვადასხვა დარგში – საქართველოს გეოლოგიაში, ფოლკლორსა თუ სიძველეთმცოდნეობაში და, რაც მთავარია, სამუზეუმო შემოქმედებაში, რომელიც, როგორც ჩანს, აკაკი ჭანტურია – სწავლულმა გეოლოგმა, ბრიტანეთის გეოლოგიური ექსპედიციების მონაწილემ – თავისი ცხოვრების მოწოდებად გაიხადა.

მიუხედავად მამისა და მისი საქმისადმი უსაზღვრო თაყვანისცემისა, ჭაბუკი არიანე სხვა გზას ირჩევს, არანაკლებ საჭიროს და აუცილებელს, რაც უკავშირდება ჩვენი სამეცნიერო პროდუქციის ადეკვატურად გაცნობას ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. შეიძლება

ითქვას, რომ არიანე ჭანტურიას გამოჩენით ამ ასპარეზზე არსებითად შეიცვალა სამეცნიერო სტატიებს დართული ინგლისური რეზიუმეების ხარისხი. წლების მანძილზე არიანე შეუცვლელი მთარგმნელი და რედაქტორი იყო აკადემიის „მოამბეში“, სადაც ის აკადემიკოს ევგენი ხარაძის საგანგებო მიწვევითა და ხელშეწყობით მუშაობდა. რა ხასიათის ტექსტს არ გაუვლია მის ხელში? მეცნიერების რომელი დარგიც უნდა ყოფილიყო, არიანე, როგორც პროფესიონალი, ერთნაირი სკრუპულოზობითა და აკრიბიით ეკიდებოდა საქმეს. პასუხისმგებლობა ინგლისელი მკითხველის წინაშე მას უფლებას არ აძლევდა, ოდნავი ზერელობა დაეშვა თარგმანში. ხშირად მომისმენია მისგან გულისტკივილი იმის გამო, რომ ქართველი ავტორების ტექსტები, რომლებიც მას სათარგმნელად ჰქონდა მოცემული, ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტს ვერც სტილით და ვერც გადმოცემის სიცხადით, და ის უფლებას იტოვებდა, აქტიურად ჩარეულიყო დედანში. შეუძლებელიაო, ამბობდა, ვაკითხოთ ინგლისელს ჩვენთვის ჩვეული, მისთვის კი შეუწყნარებელი მაღალფარდოვანი ფრაზები. მის, როგორც ჭეშმარიტი ინგლისელის, ყურს უსიამოვნოდ ხვდებოდა ქართველ მოღვაწეთა ხშირად გაუმართლებელი ეპითეტები – „გენიალური“, „უდიდესი“ და სხვანი, რომლებითაც ამკობდნენ მათ ავტორები. დარწმუნებული ვარ, – ამბობდა ის, – რომ ამ სიტყვების შემდეგ ინგლისელი კითხვას აღარ გააგრძელებსო. ინგლისური ენის უბადლო მცოდნე ყოველთვის რჩებოდა იმ აზრზე, რომ თარგმანი სრულყოფილი ვერ იქნებოდა, თუ მას ინგლისელი რედაქტორის თვალი არ გადახედავდა. ამას ის დაჟინებით მოითხოვდა არა მხოლოდ სხვისი თარგმანების, არამედ საკუთარი ხელიდან გამოსული თარგმანის შემთხვევაშიც. ეს პასუხისმგებლობა არ აძლევდა ნებას, ჟამზე ადრე გამოექვეყნებინა თავისი მრავალწლიანი შრომა - ლეონტი მროველისეული „ქართლის ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი... სამაგიეროდ მისი ღვაწლის მნიშვნელოვანი კვალი ატყვია „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს“ და „დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონს“, რომელთა ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორია.

ჩამონათვალი იმ დარგებისა, რომლებთანაც არიანეს პროფესიული შეხება ჰქონია, შთამბეჭდავია: აქ არის არქეოლოგია, ენათმეცნიერება, რელიგია, ისტორია, ფოლკლორი, ეთნოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, გეოლოგია, ჰიდროლოგია... და თითოეულ მათგანში არიანე ჭანტურია შესაშურ ცოდნას ავლენდა, სრულყოფილად ფლობდა სათანადო ტერმინოლოგიას და იყო შეუდარებელი ექსპერტი ამ სფეროში.

რამდენადაც შეურიგებელი იყო ზემოთ ნახსენები პროვინცი-ალიზმებისა და გარეშეთათვის შეუმჩნეველი ჩავარდნების მიმართ, იმდენადვე დელიკატური იყო არიანე, როცა უხდებოდა სტილისტიკურად და შინაარსობრივად გამართული ინგლისურის დაცვა. ასეც შეიძლებაო, იტყოდა ის (ინგლისური იუმორითა თუ შეფარული ირონიით) აშკარა შეცდომაზე, მაგრამ ასე უკეთესიაო, და ერთადერთ სწორ ვარიანტს სთავაზობდა. შინაგანად გაწონასწორებულს და კდემამოსილს, არ სჩვეოდა ემოციების გამოხატვა – ეს მისი, პირველ რიგში, დედუღეთის და მერე, მისი პიროვნული თვისება იყო, – მაგრამ იშვიათ შემთხვევებში გულწრფელი სპონტანური აღშფოთებაც არ იყო მისთვის უცხო. თეთრ სახეზე წამიერად აღმური მოედებოდა, მეორე წამს გადაუვლიდა. მიუღებლობის ნიშნად, რაც ამ წამიერი წამონთებისას წამოსცდებოდა, მხოლოდ ეს იყო: „აჰ, როგორ შეიძლება...“ (მაგალითისთვის, ერთ-ერთი მისი აღშფოთების საგანი ancient Georgia იყო: როგორ შეიძლება – ancient ხომ მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდელ ცივილიზაციებსა და ისტორიაზე ითქმისო. Old Georgia, old!). შინაგან ემოციურობას – თუ ეს ცნება ოქსიმორონი არ არის, გამოხატვის უფლებას არ აძლევდა. ყბადაღებული არტისტიზმი, რომელსაც ქართველობა თავისი გამორჩეულობის ნიშნად სახავს, მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. ამ ტიპის პიროვნებისთვის თითქოს უცხო უნდა ყოფილიყო პოეზიის გრძნობა, მაგრამ შეცდებოდა, თუ ვინმე ამგვარი სტერეოტიპით იფიქრებდა. ვიხსენებ იმ დაუვიწყარ საღამოებს, როცა იმხანად ახლად გაშენებულ ვაკის პარკში უილიამ უორდზუორთის სონეტების ჩემთვის გაუგებარ ადგილებს ვარჩევდით. რაზომი აღფრთოვანება და სიამაყე იგრძნობოდა პოეტის გენიისა და მისი ენისადმი ერთადერთ აღმოხდომაში „ოჰ...“ მისი განმარტებები, სიზუსტეზე რომ არაფერი ვთქვათ, სიღრმესთან ერთად, ყოვლისმომცველი იყო. მესსიერებაში ჩამებეჭდა ერთი პწკარის – The gentleness of Heaven broods over the See – განმარტება და მრავალი წლის შემდეგ ბიბლიის ტექსტის (დაბ. 1:2) შტუდირებისას ამოტივტივდა. ახლა ვფიქრობ, რომ არიანე თვითნაბადი ჰერმენევტიკოსი იყო. სად და ვისგან უნდა ესწავლა თარგმნა-თარგმანების ეს მეთოდი? ან თუ შესაძლებელი იყო ამგვარი განმარტებები კონკრეტული ცოდნის გარეშე? მაგრამ ფაქტია და ამას ყველა, ვისაც კი ურთიერთობა ჰქონია მასთან, დაადასტურებს, რომ მისი ცოდნის დიაპაზონს საზღვარი არ ჰქონდა. ეს გამოწვეული იყო ჯერ მის მიერ არჩეული პროფესიით და მერე პასუხისმგებლობით, რაც მას ნებას არ აძლევდა, თუნდაც უბრალო ტექსტის თარგმნისა საგნის სიღრმეში ჩაუხედავად...

ყველასთვის საჭირო, ვისაც კი ინგლისურ ენასთან შეხება ჰქონია, რჩევისა თუ კონსულტაციისთვის დაუზარებელი, ნებისმიერი ადამიანისთვის – განურჩევლად რანგისა - მისაწვდომი არიანე ჭანტურია მრავალი წლის მანძილზე მოკლებული იყო საკუთარ კერას, ჯერ საცხოვრებელი ბინის, მერე სამუშაო კაბინეტის სახით. ნახავდით მას თბილისის უნივერსიტეტისა და აკადემიის ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზებში, ან თავისი დიდი, შესაძლოა, მამის ნაქონი ტყავის პორტფელით სწრაფი ნაბიჯით, როგორც ვაგაბუნდს, მავალს ერთი ადგილიდან მეორემდე... მხოლოდ ბოლო თხუთმეტიოდე წლის წინათ უნივერსიტეტმა გამოუყო მე-5 კორპუსში ცალკე ოთახი, სადაც დიდიდან საღამომდე შრომობდა ის, ხელნაწერებსა და ლექსიკონებში თავჩაბრლილი. არ მახსოვს, თუ ოდესმე მის ოთახში მოულოდნელად შემომსვლელისთვის უარი ეთქვას კონსულტაციაზე ან თუნდაც უბრალოდ საუბარზე; მეტიც, ის მუდამ მზად იყო, იქვე ეთარგმნა მისთვის მოკლე რეზიუმეს ტექსტი. სულმუდამ დატვირთულს ახალ-ახალი შეკვეთებით და ხშირად, ალბათ, ცაიტნოტში მყოფს, არასოდეს უგრძნობინებია მოსაუბრისთვის, რომ დროის დეფიციტს განიცდიდა. მისთვის გულითადი საუბარი ბევრს ნიშნავდა. სასიცოცხლო მოთხოვნებიც კი იყო. გვიკვირდა, როგორ ახერხებდა დროის ძლევას ამდენი რამის მოსასწრებად ეს ფიზიკურად არცთუ ძლიერი ადამიანი. ბოლო დღემდე მხოლოდ ორიოდე წლის წინ იგრძნო სისუსტე, თუმცა მისი შრომის რეჟიმი იოტისოდენადაც არ შეცვლილა. 1925 წელს დაბადებულმა მხცოვან ასაკს მიაღწია, რასაც მე მის სულიერ სიჯანსაღეს და სიმხნევეს მივაწერ. თითქოს ხანდაზმული ასაკი იმისთვის მიმადლა გამჩენმა, რომ ბოლომდე მოეხადა ვალი დაუვიწყარი დაძმების წინაშე, რომელთა პატრონობა არგუნა ბედმა. პირადად ჩემთვის არიანეს წასვლით ადამიანთა ურთიერთობის მთელი ეპოქა წავიდა და რა ვთქვათ იმ ღვაწლზე, რაც მან თავის სამოღვაწეო სფეროს დასდო!

ზურაბ კიკნაძე